

შპს „სვიიტსტარი“-ს 2018 წლის ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგება, საქმიანობის შედეგები

და განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	809,751	92,040
სავაჭრო მოთხოვნები	136,587	114,574
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	78,255	162,477
მარაგები	394,344	415,730
- მზა პროდუქცია	37,960	43,318
- სხვა	356,384	372,412
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	10,064	1,645
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	3,384	3,760
ძირითადი საშუალებები	886,200	1,012,116
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	2,318,585	1,802,342
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	21,909	30,701
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	50	-
საგადასახადო ვალდებულებები	86,646	30,567
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	509,784	238,086
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	798,200	811,816
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	20	1,764
სულ ვალდებულებები	1,416,609	1,112,934
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	25,000	25,000
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	876,976	664,408
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	901,976	689,408
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,318,585	1,802,342

საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო პერიოდი

ნეტო ამონაგები	2,440,922
საქონლის გაყიდვიდან	
მომსახურების გაწევიდან	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	2,440,922
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,807,406)
საწყისი მარაგები	(415,730)
მარაგების შესყიდვა	(1,863,703)
გადამუშავების დანახარჯები	77,683
სამოლოო მარაგები	394,344
საერთო მოგება	633,516
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(188,681)
ცვეთა და ამორტიზაცია	(26,237)
საპროცენტო შემოსავალი:	-
საპროცენტო ხარჯი :	(87,341)
ოჯარის ხარჯი	(65,044)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(117,620)
სულ საოპერაციო ხარჯები	(484,923)
საოპერაციო მოგება	148,593
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(35,359)
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	130,913
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცია	244,147
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	244,147
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	244,147
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	689,408
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(31,579)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	244,147
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	901,976

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სვიტსტარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2005 წლის 11 აპრილს გლდან-ნაძალადევის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 1/4-595. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 200132640, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ. #17. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2006 წლის 1 ივნისს.

1.2. კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია ანზორ სულიაური (პ.ნ. 01001019709), 40%-იანი წილის მფლობელი თინათინ ლორვალიძე (პ.ნ. 01018005257) და 10% წილის მფლობელი თეიმურაზ კურცხალია (პ.ნ. 01017011597)

1.3. კომპანიის დირექტორია ანზორ სულიაური (პ.ნ. 01001019709).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ვაჭრობა პურით და პურფუნთუშეული ნაწარმით, ორცხობილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შეილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა* და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს შსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 20%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 25%;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 20%;

ინვენტარი - 10%;

სპეციალური ინსტრუმენტები - 20%;

სატრანსპორტო საშუალებები - 20%;

სხვა ავტოტრანსპორტი - 20%;

სხვა ძირითადი საშუალებები - 20%;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%;

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები - 50%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის

წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	61951	2576
ლარი საბანკო ანგარიშებზე	4639	14135
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	743066	43921
ევროები საბანკო ანგარიშებზე	95	31408
სულ:	809751	92040

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	150283	114574
საექვო მოთხოვნების კორექტირება	-13696	
სულ:	136587	114574

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიის საექვო ვალებმა შეადგინა 13696 ლარი. ეს თანხა შედგება 3 რეზიდენტი იურიდიული და 2 ფიზიკური პირები დავალიანებებისაგან. დანარჩენი დებიტორები შეადგენენ 170 ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	15644	2760
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	62611	159717
სულ:	78255	162477

31.12.2018 წ. მდგომარეობით არსებული ავანსებიდან უდიდესი - 53213 ლარის ოდენობით. დაიხურა 2019 წლის იანვარში განხორციელებული იმპორტის ოპერაციით.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	8296	10368
ნედლეული და მასალები	332544	350222
მზა პროდუქცია	37960	43318
საწვავ-საცხები მასალები	3147	2430
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	12397	9392
სულ:	394344	415730

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სარემონტო მასალებისაგან და სარეკლამო დანიშნულების საქონელისაგან.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
წინასწარ ანაზღაურებული მომოსახურებები	1143	151
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	8921	1494
სულ:	10064	1645

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.321 (501.8 კვმ)	35126.00	35126.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.322 (583 კვმ)	40810.00	40810.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.325 (934.2 კვმ)	65394.00	65394.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.324 (978.9 კვმ)	97890.00	97890.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.317 (702.9 კვმ)	70290.00	70290.00
მიწის ნაკვეთი (ავშნიანი 9, არასასოფლო-სამეურნეო ს/კ 72.13.42.388) (497 კვმ)	67100.00	67100.00
მიწის ნაკვეთი (ავშნიანი 9, არასასოფლო-სამეურნეო ს/კ 72.13.42.326) (438.8 კვმ)	59240.00	59240.00
მიწის ნაკვეთი (ბარისახოს ქ. №118, არასასოფლო- სამეურნეო, ს/კ 01.11.01.017/139) (6681 კვმ)		417950.00
მიწის ნაკვეთი (ბარისახოს ქ. №118, არასასოფლო- სამეურნეო, ს/კ 01.11.01.017.162) (3584 კვმ)	224267	
სულ:	660117	853800

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დაუმთავრებელი მშენებლობა	91586	61586		30000
სულ:	91586	61586	0	30000

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს საწარმო-საოფისე შენობის მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს.

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მანქანა-დანადგარები	52354	1070	12932	64216
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	2520		630	3150
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	717	729	219	207
ავტო	462		51	513
ინვენტარი	10675	4182	1002	7495
სპეციალური ინსტრუმენტები	518		129	647
სატრანსპორტო საშუალებები	24175		6044	30219
სხვა ავტოტრანსპორტი	19553	20950	1397	0
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	1552		388	1940
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10509	4990	1797	7316
1000 ლარამდე ღირებულების ძს	11462	121	1272	12613
სულ:	134496	32042	25861	128316

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 179755 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 155560 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	3384		376	3760
სულ:	3384	0	376	3760

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 1982 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 1606 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	19799	28659
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	2110	2042
სულ:	21909	30701

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 21 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 5 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები	50	0
სულ:	50	0

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	86646	30567
სულ:	86646	30567

საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2018 წლის დეკემბრის თვეში, რომლის დეკლარირებაც მოხდა 2019 წლის იანვარში.

3.11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ბაზისბანკი სესხი №166816002		129610
ბაზისბანკი სესხი №166816/001	366258	75210
ბაზისბანკი სესხი №166816/004	57568	33266
ბაზისბანკი სესხი № 166816/005	85958	
სულ:	509784	238086

ყველა მიმდინარე სასესხო ვალდებულებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილია.

3.12. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ბაზისბანკი სესხი №166816/001		354709
ბაზისბანკი სესხი №166816/004	664168	457107
ბაზისბანკი სესხი № 166816/005	134032	
სულ:	798200	811816

„ბაზისბანკიდან“ აღებული ყველა სესხი არის აშშ დოლარებში. 2018 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 488674 USD-ს.

3.13. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	20	1764
სულ:	20	1764

3.14. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	25000	25000
გაუნაწილებელი მოგება	876976	664408
სულ:	901976	689408

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული

პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). 2018 წელს მოხდა 2017 წლამდე დაგროვილი მოგებიდან მხოლოდ 31579 ლარის განაწილება დივიდენდებად, ამიტომ ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს 2017 წლამდე დაგროვილი მოგების განაწილებისას უკვე გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლის უფლებას, კომპანიის 2018 წლის მოგება არ შემცირებულა მოგების გადასახადით.

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

	2018 წელი
პროდუქციის რეალიზაცია	2440922
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1807406
სულ:	633516

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2018 წელი
არასაოპერაციო მოგება ძს რეალიზაციიდან (მიწის რეალიზაცია)	122622
არასაოპერაციო მოგება ძს რეალიზაციიდან	7530
დადებითი საკურსო სხვაობები	17716
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1172
სულ:	149040

3.17 მიწოდების ხარჯები:

	2018 წელი
საწარმოო სარემონტო ხარჯები	-1028
რეკლამის ხარჯები	-48
სხვა მიწოდების ხარჯები	-946
სულ:	-2022

3.18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-188681
იჯარის ხარჯები	-65044
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-4909
მიმდინარე სარემონტო ხარჯები	-4233
საწვავის ხარჯები	-16565
ცვეთა და ამორტიზაცია	-26237
საკომუნიკაციო ხარჯები	-2901
კომუნალური ხარჯები	-37288
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	-13696
საბანკო ხარჯები	-5025
საქველმოქმედო ხარჯები	-235
საკონსულტაციო ხარჯები	-9000
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-21746
სულ:	-395560

სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს საკუთარი ძალებით ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად რეალიზაციაში აღიარებული და მოგების გადასახადით დაბეგრული თანხა 15497 ლარი.

3.19. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი
საპროცენტო დანახარჯები	-87341
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-53075
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-7
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-404
სულ:	-140827

სხვა არასაოპერაციო ხარჯები ძირითადად შედგება არასაგადასახადო ჯარიმებისაგან.

3.20. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2018 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	809,751	92,040
სავაჭრო მოთხოვნები	136,587	114,574
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	78,255	162,477
მარაგები	394,344	415,730
- შხა პროდუქცია	37,960	43,318
- სხვა	356,384	372,412
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	10,064	1,645
ბიოლოგიური აქტივები	-	-
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	3,384	3,760
ძირითადი საშუალებები	886,200	1,012,116
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	2,318,585	1,802,342
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	21,909	30,701
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	50	-
საგადასახადო ვალდებულებები	86,646	30,567
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	509,784	238,086
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	798,200	811,816
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	20	1,764
სულ ვალდებულებები	1,416,609	1,112,934
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	25,000	25,000
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	876,976	664,408
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	901,976	689,408
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,318,585	1,802,342

შპს „სვინიტსტარის“ დირექტორი

ანზორ სულიაური



საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო პერიოდი

ნეტო ამონაგები	2,440,922
საქონლის გაყიდვიდან	
მომსახურების გაწევიდან	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	2,440,922
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,807,406)
საწყისი მარაგები	(415,730)
მარაგების შესყიდვა	(1,863,703)
გადამუშავების დანახარჯები	77,683
საბოლოო მარაგები	394,344
საერთო მოგება	633,516
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(188,681)
ცვეთა და ამორტიზაცია	(26,237)
საპროცენტო შემოსავალი:	-
საპროცენტო ხარჯი :	(87,341)
იჯარის ხარჯი	(65,044)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(117,620)
სულ საოპერაციო ხარჯები	(484,923)
საოპერაციო მოგება	148,593
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(35,359)
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	130,913
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ბარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	244,147
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	244,147
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერეი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	244,147
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	689,408
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(31,579)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	244,147
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	901,976

შპს „სვინიტსტარის“ დირექტორი

ანზორ სულიაური

